

შპს „ედმიქსერ ჯი“

ფინანსური მდგომარეობა	31/12/23	31/12/22	31/12/21
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	38,268	6,306	44,105
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,129,561	3,119,603	595,938
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	-
მარაგები	-	-	-
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	22,786	25,878	3,940
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	3,190,615	3,151,787	643,983
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	2,391,316	2,670,317	649,327
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	12,245
საგადასახადო ვალდებულებები	202,520	180,453	68,557
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	2,593,836	2,850,770	730,129
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	596,779	301,017	(86,146)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	596,779	301,017	(86,146)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,190,615	3,151,787	643,983

საქმიანობის შედეგები	2023	2022
ნეტო ამონაგები	9,768,059	5,552,746
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	9,768,059	5,552,746
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(8,781,228)	(4,955,925)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	(8,781,228)	(4,955,925)
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	986,831	596,821
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(349,245)	(271,869)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(5,931)	(2,939)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
ოჯარის ხარჯი	(23,791)	(25,298)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(116,917)	(101,281)
სულ საოპერაციო ხარჯები	(495,884)	(401,387)
საოპერაციო მოგება	490,947	195,434
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(195,908)	191,729
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	723	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი თვრედიებიდან	295,762	387,163
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	295,762	387,163
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მილიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	295,762	387,163
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	301,017	(86,146)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერაციის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	596,779	301,017

ფულადი სახსრების მომართვა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	101,870	20,617
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2,350	-16,243
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	99,520	4,374
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-67,558	-42,173
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6,306	44,105
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	38,268	6,306

შპს „ედმიქსერ ჯი“-ს დირექტორი



დომიტრი ტიკარაძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ედმიქსერ ჯი (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2020 წლის აგვისტოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 405409696) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N 6, კომერციული ფართი 1, სართული 1.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა

კომპანიის დამფუძნებლები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

დიმიტრი ტიკარაძე, 26001000951 – (რეგისტრაციის ადგილი: საქართველო) - 40%-იანი წილის მფლობელი;

კერძო შეზღუდული კომპანია ადმიქსერ ლიმიტედ, 08856427 – (რეგისტრაციის ადგილი: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) – 60%-იანი წილის მფლობელი.

2023 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 7 ადამიანი.

2023 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძველი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონცეფციის შესაბამისად.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა: საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარის სიზუსტით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის ნებისმიერ დაუბრუნებად გადასახადებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვნებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წელი;

3.3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი.

3.4. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.4.1. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი, რომელსაც იყენებს საოფისედ.

3.5. შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა. ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს რეკლამის განთავსებისა და მომსახურებისათვის მიღებული საკომისიო შემოსავალი.

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

5. ფინანსური რისკის ფაქტორები

უცხოური ვალუტის რისკი - კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის უცხოელი მომწოდებლებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო ვალდებულება.

შპს „ედმიქსერ ჯი“-ს დირექტორი



დიმიტრი ტიკარაძე